საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის და ნატოში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისიის გაერთიანებული სხდომა
ქ. თბილისი, 1 მარტი, 2019

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის 59-ე სხდომა

თავმჯდომარეობდა

მამუკა ბახტაძე	საქართველოს პრემიერ-მინისტრი

ესწრებოდნენ:

სამინისტროს ხელმძღვანელი და პასუხისმგებელი პირები:

დავით ზალკალიანი	საგარეო საქმეთა მინისტრი
გიორგი გახარია	საქართველოს ვიცე-პრემიერი, შინაგან საქმეთა მინისტრი
ლევან იზორია	საქართველოს თავდაცვის მინისტრი
თეა წულუკიანი	საქართველოს იუსტიციის მინისტრი
ლევან დავითაშვილი	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის მინისტრი
დავით სერგეენკო	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი
ივანე მაჭავარიანი	საქართველოს ფინანსთა მინისტრი
მიხეილ ბატიაშვილი	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრი
ეკატერინე მიქაბაძე	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე
მზია გიორგობიანი	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე
ლია გიგაური	შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის მოადგილე
ნათია მიქელაძე	საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი
არჩილ ყარაულაშვილი	საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის გენერალური დირექტორატის უფროსი

<u>მოწვეული სტუმრები:</u>

მზია თოდუა	უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი
ვახტანგ ქათამაძე	პრემიერ-მინისტრის აპარატის საგარეო ურთიერთობათა კოორდინაციის სამსახურის უფროსი
მარიამ გაბუნია	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, საგარეო ვაჭრობის პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი
ლაშა ინაური	გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი
რევაზ კაკულია	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ევროინტეგრაციის დეპარტამენტის უფროსი
ნინო გახარია	შინაგან საქმეთა სამინისტროს, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე
ნიკოლოზ ჭინკორაშვილი	საქართველოს გენერალური პროკურატურის სამმართველოს უფროსი
ეკატერინე ქარდავა	საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსი
დავით ონოფრიშვილი	სსიპ - საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის უფროსი
რაჟდენ კუპრაშვილი	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი
ვალერიან ხასაშვილი	სსიპ - იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორი
კახა დემეტრაშვილი	სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე
დავით ჭიჭინაძე	კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე
ელენე ბერიძე	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
თამარ ხულორდავა	საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე
მზია გოგილაშვილი	კომუნიკაციების ეროვნული კომისიის, საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი ექსპერტი
ირაკლი მექვაბიშვილი	სახელმწიფო აუდიტის სამსახურის გენერალური აუდიტორი
შორენა მეზურნიშვილი	იუსტიციის უმაღლესი საბჭოს, საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი
გოგიტა თოდრაძე	სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორი
ვანო ბოლქვაძე	იუსტიციის უმაღლესი სკოლის დირექტორი
თამარ ქუსიკაშვილი	ეროვნული ბანკის, ევროდირექტივების იმპლემენტაციის და

	სამართლებრივი მხარდაჭერის განყოფილების წამყვანი სპეციალისტი
დავით ბუჯიაშვილი	საგარეო საქმეთა სამინისტროს, ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი
სალომე შაფაქიძე	საგარეო საქმეთა სამინისტროს, ევროინტეგრაციის დეპარტამენტის დირექტორი
ნინო გრძელიშვილი	საგარეო საქმეთა სამინისტროს, ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის, ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის სამმართველოს უფროსი
ნინო ყამარაული	საგარეო საქმეთა სამინისტროს, ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის, სექტორული ინტეგრაციის სამმართველოს უფროსი
ვიქტორია ბაიკოვა	საგარეო საქმეთა სამინისტროს, ევროინტეგრაციის დეპარტამენტის აღმოსავლეთ პარტნიორობის, ევროკავშირთან პოლიტიკის დაგეგმვისა და ანალიზის სამმართველოს უფროსი
ბიძინა ჯავახიშვილი	საგარეო საქმეთა სამინისტროს, ევროინტეგრაციის დეპარტამენტის, ევროკავშირთან ასოცირების სამმართველოს უფროსი
თეა ჯიჯელავა	საგარეო საქმეთა სამინისტროს, ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის, ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის სამმართველოს მრჩეველი
მიხეილ სულაბერიძე	საგარეო საქმეთა სამინისტროს, ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის, ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის სამმართველოს პირველი მდივანი
ანა შაიშმელაშვილი	საგარეო საქმეთა სამინისტროს, ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის, სექტორული ინტეგრაციის სამმართველოს მეორე მდივანი
ალექსანდრე კეკელია	საგარეო საქმეთა სამინისტროს, ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის, სექტორული ინტეგრაციის სამმართველოს მესამე მდივანი
ლანა ჯალაღონია	საგარეო საქმეთა სამინისტროს, ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის, ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის სამმართველოს ატაშე
ქრისტინე ჟღენტი	საგარეო საქმეთა სამინისტროს, ევროკავშირის დახმარების კოორდინაციისა და სექტორული ინტეგრაციის დეპარტამენტის, სექტორული ინტეგრაციის სამმართველოს ატაშე

	ნატო-ს სამმართველოს უფროსი
ანნა ბაღბაია	საგარეო საქმეთა სამინისტროს, ნატო-ში ინტეგრაციის დეპარტამენტის, უწყებათაშორისი კოორდინაციის სამმართველოს მესამე მდივანი
გიგა გზადელიანი	საგარეო საქმეთა სამინისტროს, ნატო-ში ინტეგრაციის დეპარტამენტის, უწყებათაშორისი კოორდინაციის სამმართველოს მეორე მდივანი
მარიამ გამდლიშვილი	საგარეო საქმეთა სამინისტროს, ნატო-ში ინტეგრაციის დეპარტამენტის, უწყებათაშორისი კოორდინაციის სამმართველოს მესამე მდივანი
მარიამ ჯანელიძე	საგარეო საქმეთა სამინისტროს, ნატო-ში ინტეგრაციის დეპარტამენტის, უწყებათაშორისი კოორდინაციის სამმართველოს ატაშე
	მოწვეული სტუმრები:
ირაკლი სესიაშვილი	საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე

<u>პრემიერ-მინისტრის მისასალმებელი სიტყვა:</u>

საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის სამთავრობო კომისიის და ნატოში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისიის ერთობლივი სხდომა მისასალმებელი სიტყვით, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ გახსნა. პრემიერმა აღნიშნა, რომ ევროკავშირთან ურთიერთობების და ინტეგრაციის ხარისხი ასეთ მაღალ დონეზე როგორც ამჟამადაა არასდროს ყოფილა. მან ხაზი გაუსვა, რომ საქართველო ევროკავშირთან ნაკისრ ვალდებულებებს წარმატებით ახორციელებს, გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები ევროკავშირთან როგორც საკანონმდებლო, ასევე ინსტიტუციური დაახლოების კუთხით, რაც ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე აუცილებელი წინაპირობაა.

მამუკა ბახტაძემ ისაუბრა 5 მარტს ბრიუსელში დაგეგმილ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-5 სხდომის მნიშვნელობაზე, რომლის ფარგლებშიც ქართული მხარე წარადგენს „ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკას"- მნიშვნელოვან დოკუმენტს, რომელიც იძლევა საშუალებას მოხდეს ევროინტეგრაციის ფარგლებში განხორციელებული პროგრესის კონსოლიდაცია და ასოცირების შეთანხმების მიღმა გადაიდგას შემდგომი ნაბიჯები ევროკავშირთან უფრო ღრმა და ყოვლისმომცველი, მათ შორის სექტორული ინტეგრაციისკენ. პრემიერმა ხაზი გაუსვა, რომ მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მუშაობა 2018 წლის 21 ნოემბერის, საქართველო-ევროკავშირის მაღალი დონის შეხვედრის ფარგლებში მიღებული გადაწყვეტილებების შესრულების მიზნით, რაც ხელს შეუწყობ კონკრეტული მიმართულებებით საქართველოს კიდევ უფრო მეტ დაახლოებას ევროკავშირთან. მან აქცენტი გააკეთა ეკონომიკურ თანამშრომლობაზე და ამ კუთხით, ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავებაზე და ასევე განათლების სფეროზე, სადაც

მიმდინარეობს ამბიციური პროექტები და მნიშვნელოვანია, ამ მიმართულებით ევროკავშირთან დამატებითი დაახლოების რესურსის გამოძებნა.

მამუკა ბახტაძემ ყურადღება გაამახვილა ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის მიმდინარეობის საკითხზე და პროცესის შეუფერხებლად ფუნქციონირების უზრუნველყოფის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

მისასალმებელ სიტყვაში, პრემიერ-მინისტრმა ასევე ისაუბრა ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ მიღწეულ პროგრესზე. აღნიშნა, რომ საქართველოს წარმატებული სვლა ნატოსკენ კიდევ უფრო იქნა გამყარებული 2018 წლის განმავლობაში გამართულ მაღალი დონის ღონისძიებებზე, მათ შორის გამოყო სამიტი ბრიუსელში, სადაც კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ საქართველოს აქვს ყველა პრაქტიკული მექანიზმი, რათა გახდეს ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი. პრემიერ-მინისტრმა ასევე ხაზი გაუსვა, რომ მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე საქართველომ მიიღო მნიშვნელოვანი გზავნილები, რომ საქართველო არის ნატოს განსაკუთრებული და საიმედო პარტნიორი, რასაც ადასტურებს ის ფაქტიც, რომ 2019 წელს საქართველო მასპინძლობს ნატოს გენერალურ-მდივანს, სამხედრო კომიტეტს და ჩრდილოატლანტიკურ საბჭოს. მან აღნიშნა, რომ აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში არსებული შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოსა და ნატოს შორის ურთიერთობები ახალ დონეზეა აყვანილი.

საუბრის ბოლოს მამუკა ბახტაძემ აღნიშნა, რომ კომისიის ფარგლებში მიღებულ იქნება ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა, ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების 1 წლის ანგარიში და 2019 წლის საქართველოს წლიური ეროვნული პროგრამა.

<u>საკითხი I: ინფორმაცია 5 მარტს ქ. ბრიუსელში დაგეგმილი საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-5 სხდომის შესახებ</u>

ბ-ნი მამუკა ბახტაძე, ბ-ნი დავით ზალკალიანი

საგარეო საქმეთა მინისტრმა ისაუბრა 5 მარტს ქ. ბრიუსელში დაგეგმილ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს მე-5 სხდომაზე, რომელიც ასოცირების შეთანხმების საფუძველზე შექმნილი უმაღლესი დონის ფორმალური ინსტიტუციაა და წელს, საბჭოს თავმჯდომარე, ქართული მხარე, კერძოდ კი პრემიერ-მინისტრი იქნება. დავით ზანკალიანმა ხაზი გაუსვა, რომ ევროკავშირის მხრიდან შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო და უსაფრთხოების საკითხებში ფედერიკა მოგერინი და ევროკომისარი იოჰანეს ჰანი.

საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ ასოცირების საბჭოზე ქართული მხარე წარადგენს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკას, რომლის შემუშავებაში საქართველოს მთავრობის ყველა შესაბამისი უწყება, საქართველოს პარლამენტი და სამოქალაქო საზოგადოება

აქტიურად იყო ჩართული. მინისტრის თქმით, საგზაო რუკაში წარმოდგენილია საქართველოს ამბიციურ ხედვას ევროკავშირში ინტეგრაციის კუთხით.

დავით ზალკალიანმა აღნიშნა, რომ სხდომის დღის წესრიგი ითვალისწინებს ისეთ თემებს, როგორიცაა პოლიტიკური დიალოგი, მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება, ეკონომიკური და სექტორული თანამშრომლობა, ვაჭრობა და საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა. ასოცირების საბჭო გაიმართება ორი სესიის ფორმატში: **დახურული სესია**, რომელშიც ევროკავშირის მხრიდან მხოლოდ საგარეო ქმედებათა ევროპული სამსახურისა და ევროკომისიის წარმომადგენლები მონაწილეობენ და დისკუსია წარიმართება ღია, არაფორმალურ ვითარებაში და ე.წ. ფორმალური სესია - **პლენარული სხდომა**, რომელსაც ინსტიტუციების წარმომადგენლებთან ერთად, ევროკავშირში წევრი ქვეყნების მუდმივი წარმომადგენლობების თანამშრომლები ესწრებიან.

საგარეო საქმეთა მინისტრმა დასძინა, რომ საბჭოსთვის სამზადისი თითქმის დასრულებულია - მზად არის სცენარი; შესაბამისი უწყებები ასრულებენ მუშაობას გამოსვლის ტექსტებზე, რომლებიც დაემატება სცენარს, რის შემდეგაც, პროცედურის შესაბამისად, ევროკავშირთან მოხდება განსახილველ საკითხებზე წერილობითი პოზიციების გაცვლა.

ბ-ნმა ზალკალიანმა აღნიშნა, რომ სხდომაზე მოსალოდნელია, განიხილონ ისეთი საკითხებიც, როგორიცაა თავშესაფრის მთხოვნელთა გაზრდილი რაოდენობა და დანაშაულის სტატისტიკა.

მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ სხდომაზე ორივე მხრიდან მნიშვნელოვანი ყურადღება დაეთმობა გასული წლის 21 ნოემბერს გამართულ მაღალი დონის შეხვედრას და მის შედეგებზე მუშაობას. მინისტრმა აღნიშნა, რომ შეხვედრა წარმატებულად ფასდება ევროკომისიის მხრიდან, რაც იმის საფუძველს იძლევა, რომ მუშაობა ამ ფორმატში 2019 წლის განმავლობაშიც გაგრძელდება. დავით ზალკალიანმა აღნიშნა, რომ როგორც ქართული მხარისთვისაა ცნობილი, მზადდება პრეზიდენტი იუნკერის საპასუხო წერილი პრემიერ-მინისტრის სახელზე, სადაც შეთავაზებულ იქნება შეხვედრის შედეგებზე მუშაობის გაგრძელებას ორ დონეზე: დარგობრივი ქვეკომიტეტების ფარგლებში და მაღალი დონის ვიზიტებისას.

აღინიშნა, რომ მიმდინარე წელს დაგეგმილია არაერთ მნიშვნელოვანი ვიზიტი ევროკომისიიდან, მათ შორის:

- ✓ ვაჭრობის საკითხებში ევროკომისრის სესილია მალმსტრომის ვიზიტი, 18-19 მარტი;
- ✓ განათლების საკითხებში ევროკომისარის ტიბორ ნავრაჩიჩის ვიზიტი ივნისი;
- ✓ მიგრაციის საკითხებში ევროკომისარის დიმიტრის ავრამოპულოსის ვიზიტი, სავარაუდოდ, ივლისში, ბათუმის კონფერენციის ფარგლებში;
- ✓ ტრანსპორტის საკითხებში ევროკომისარ ვიოლეტა ბულცის ვიზიტი, 15 ივლისი;
- ✓ ევროკომისარ იოჰანეს ჰანის და სავარაუდოდ, პრეზიდენტი იუნკერის ვიზიტი სექტემბერში.

<u>კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:</u>

- საგარეო საქმეთა სამინისტრომ, შესაბამის უწყებებთან ერთად დაასრულოს ასოცირების საბჭოს მე-5 სხდომის მოსამზადებელი სამუშაოები;
- გაგრძელდეს მუშაობა 21 ნოემბერს გამართული მაღალი დონის შეხვედრაზე მიღებული გადაწყვეტილებების განხორციელების მიზნით, მათ შორის გამოყენებულ იქნეს საქართველოს და ევროკავშირის მხრიდან სხვადასხვა დონეზე დაგეგმილი ვიზიტები.

<u>საკითხი II: საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკის (RM2EU) დოკუმენტის განხილვა</u>

ბ-ნი მამუკა ბახტაძე, ბ-ნი დავით ზალკალიანი, ქ-ნი თეა წულუკიანი, ქ-ნი თამარ ხულორდავა

საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავით ზალკალიანმა კომისიის წევრებს წარუდგინა „ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკის" დოკუმენტი, რომლის შემუშავების პროცესს კოორდინაციას საგარეო საქმეთა სამინისტრო უწევდა. მინისტრმა მადლობა გადაუხადა დოკუმენტზე მუშაობაში აქტიურად ჩართულ ყველა დარგობრივ სამინისტროს და პარლამენტს. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ საგარეო საქმეთა სამინისტრო ინტენსიურ კონსულტაციებს მართავდა სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, რომელთა მიერ მოწოდებული შენიშვნების დიდი ნაწილი ასახულ იქნა დოკუმენტის ტექსტში, რამაც მას დამატებითი ღირებულება შესძინა.

დავით ზალკალიანმა აღნიშნა, რომ საგზაო რუკაში ასახულია, როგორც ასოცირების შეთანხმებით მიმდინარე რეფორმების განხორციელების მდგომარეობა, ასევე, ასოცირების შეთანხმების ფარგლებში დარჩენილი მნიშვნელოვანი რეფორმები და გამოკვეთილია კონკრეტული სექტორული მიმართულებები, სადაც არსებობს ამბიცია, ქვეყანა გასცდეს ასოცირების შეთანხმებას და მის მიღმა ევროკავშირთან უფრო ღრმა ინტეგრაციისკენ გადადგას ნაბიჯები. საგზაო რუკის დოკუმენტში თავმოყრილია ასოცირების მიღმა განსახორციელებელი ღონისძიებების გარკვეული რაოდენობა, თუმცა მინისტრის განმარტებით, მომავალში ჩამოყალიბდება სპეციალური მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს კანონმდებლობის შესაბამისობის ანალიზს, საჭიროების შემთხვევაში რეგულაციის ზემოქმედების შეფასებას (RIA), რის შედეგადაც იდენტიფიცირებული აქტივობები აისახება ევროინტეგრაციის ყოველწლიურ სამოქმედო გეგმებში.

მინისტრის თქმით, ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკით განსაზღვრული რეფორმების განხორციელება ახალ დინამიზმს შესძენს საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებს და უზრუნველყოფს ევროკავშირის კანონმდებლობასთან ქვეყნის კანონმდებლობის მაქსიმალურ დაახლოებას, ასევე ინსტიტუციური და სექტორული ინტეგრაციის უფრო მაღალი ხარისხის მიღწევას, ვიდრე ეს ასოცირების შეთანხმებითაა გათვალისწინებული.

დავით ზალკალიანმა აღნიშნა, რომ საგზაო რუკის ტექსტში აქცენტი გაკეთდა არა პოლიტიკურ ნაბიჯებზე, არამედ სხვადასხვა მიმართულებით რეფორმების

განხორციელებაზე. თუმცა მინისტრმა, კომისიის წევრებს სთხოვა გადაწყვეტილების მიღება საგზაო რუკაში საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით კონკრეტული ჩანაწერის, კერძოდ ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლზე მინიშნების გაკეთებასთან დაკავშირებით, რასაც კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მინისტრმა ასევე კომისიას აცნობა, რომ მზად არის დოკუმენტის ინგლისურენოვანი თარგმანი და მოკლე რეზიუმე, რომლებიც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოზე გადაეცემა ევროპულ მხარეს.

<u>კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:</u>

- მოწონებულ იქნეს „საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკა";
- საგზაო რუკის ტექსტში ასახულ იქნეს ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით შესაბამისი ჩანაწერი, რომლითაც მინიშნება გაკეთდება ევროკავშირის ხელშეკრულების 49-ე მუხლზე.

<u>საკითხი III: ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის მიღება და ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების 1 წლის ანგარიში</u>

ბ-ნი მამუკა ბახტაძე, ბ-ნი დავით ზალკალიანი, ქ-ნი ეკატერინე მიქაბაძე

საგარეო საქმეთა მინისტრმა კომისიას წარუდგინა ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმა. დავით ზალკალიანმა აღნიშნა, რომ 2019 წლის სამოქმედო გეგმა ელექტრონული მონიტორინგის სისტემის მეშვეობით ახალი სტანდარტის შესაბამისად შემუშავდა, კერძოდ, გათვალისწინებულ იქნა ევროკავშირის კარგი მმართველობის პროგრამა SIGMA-ს ექსპერტების რეკომენდაციები. მინისტრმა დასძინა, რომ გეგმის შემუშავების პროცესში აქტიურად მიმდინარეობდა კონსულტაციები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, რომელთა მიერ მოწოდებული რეკომენდაციებიც დიდწილად ასახულ იქნა დოკუმენტში.

მინისტრმა აღნიშნა, რომ დოკუმენტი მოიცავს პრაქტიკულად ყველა მიმართულებით, როგორც ევროკავშირთან საკანონმდებლო აპროქსიმაციის, ასევე ინსტიტუციური დაახლოების, საერთაშორისო თანამშრომლობისა და ადამიანური რესურსების გაძლიერების თვალსაზრისით წლის განმავლობაში დაგეგმილ მნიშვნელოვან აქტივობებს, რომლებიც პასუხობენ ასოცირების შეთანხმებითა და ასოცირების დღის წესრიგით გათვალისწინებულ ვალდებულებებსა და ვადებს, რომლებიც თავის მხრივ, კონკრეტული ევრო-დირექტივებითა და რეგულაციებითაა განსაზღვრული. გარდა ამისა, ხაზი გაესვა, რომ 2019 წლის სამოქმედო გეგმა სრულფასოვნად მოიცავს იმ ვალდებულებებს, რომლებიც 2018 წლის გეგმის ფარგლებში ვერ შესრულდა და ამჟამად მიმდინარეობს მათი განხორციელება. ბატონმა ზალკალიანმა აღნიშნა, რომ მას შემდეგ რაც კომისია მოიწონებს გეგმას, ის დასამტკიცებლად საქართველოს მთავრობას წარედგინება.

ამასთანავე, დავით ზალკალიანმა ყურადღება გაამახვილა ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების ფარგლებში ზოგიერთ საკითხზე, რომელიც საჭიროებს დამატებით ყურადღებას, კერძოდ: „ინფორმაციის თავისუფლების“ კანონის მიღება (იუსტიციის სამინისტრო); დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანა (საქართველოს პარლამენტი); მძღოლთა პრაქტიკული მომზადებისათვის საჭირო ტრენინგ ცენტრის ფუნქციონირება (ეკონომიკის და მდგრადი განვითარებს სამინისტრო); ნახშირწყალბადის რესურსების ძიების, მოპოვებისა და წარმოების ნებართვების მიღებისა და გამოყენების პირობების თაობაზე, საქართველოს კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანა (ეკონომიკის და მდგრადი განვითარებს სამინისტრო); ენერგოეფექტურობის სამოქმედო გეგმის მიღება (ეკონომიკის და მდგრადი განვითარებს სამინისტრო); "გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ" საქართველოს კანონისა და ,,გარემოსათვის მიყენებული ზიანის გამოთვლის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ" კანონქვემდებარე აქტის მიღება (გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო); "ბიომრავალფეროვნების შესახებ" საქართველოს კანონის პროექტის შემუშავება და მისი გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსთან და გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის შესახებ კანონის პროექტთან შესაბამისობაში მოყვანა (გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო).

2018 წლის ანგარიშზე საუბრისას ბატონმა დავით ზალკალიანმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი აქტივობები განხორციელდა შემდეგი მიმართულებებით: კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები, სამოქალაქო უსაფრთხოება, ტრანსპორტი, გარემოს დაცვა, დაზღვევა, შრომის უსაფრთხოება, განათლება, საპენსიო სფერო. ასევე, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან აპროქსიმაციის მიზნით, საქართველოს პარლამენტის მიერ 2018 წლის განმავლობაში მიღებული იქნა კანონები: "შრომის უსაფრთხოების შესახებ", "სახელმწიფო ინსპექტორის შესახებ", „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“, „პროფესიული განათლების შესახებ“, “დაგროვებითი პენსიის შესახებ”. ამავდროულად, აღინიშნა, რომ გასული წლის განმავლობაში საკანონმდებლო ცვლილებები შევიდა 100-ზე მეტ საკანონმდებლო აქტში.

ამასთან, მინისტრმა კომისიის წევრებს აცნობა, რომ პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა მუშაობა ასოცირების შეთანხმების საშუალო ვადიან, სამწლიანი გეგმის პროექტზე, რომელიც გაწერილია 2019-2021 წლებზე და იგი ხელს შეუწყობს ევროინტეგრაციის საგზაო რუკით, ასოცირების შეთანხმებითა და დღის წესრიგით გათვალისწინებული აქტივობების დაგეგმვისა და განხორციელების პროგნოზირებადობას, გამჭვირვალობასა და მდგრადობას.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ, ეკატერინე მიქაბაძემ წარმოადგინა DCFTA-ის განხორციელების 2018 წლის ანგარიში და DCFTA-ის განხორციელების 2019 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმა. მან ასევე აღნიშნა, რომ მიმდინარეობს გრძელვადიანი 2018-2020 წლების DCFTA-ს სამოქმედო გეგმის შესრულება. წარმატებით ხორციელდება DCFTA-ის შესახებ ცნობიერების ამაღლებისათვის დაგეგმილი ღონისძიებები, მათ შორის 2018 წლის განმავლობაში მრგვალი მაგიდის ფორმატში გაიმართა რეგიონალური სამუშაო შეხვედრები ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებთან და სხვა დაინტერესებულ

მხარეებთან; ასევე ფუნქციონირებს და მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს DCFTA-ის ვებ-გვერდის www.dcfta.gov.ge განახლება.

მან ისაუბრა 2018 წელს განხორციელებულ მნიშვნელოვან ქმედებებზე, მათ შორის: 2018 წელს სსიპმა „აწარმოე საქართველოში", ფინანსებზე ხელმისაწვდომობის და ტექნიკური მხარდაჭერის მიმართულებით დახმარება გაუწია 102 ბიზნეს პროექტს, მათ შორის 65 საწარმოსა და 37 სასტუმროს. პროექტის ჯამური ინვესტიციის მოცულობამ 219 მლნ. ლარზე მეტი შეადგინა, რითაც დამატებით 3,200 ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება. ასევე, ევროპის მეწარმეთა ქსელის (EEN) პლატფორმაზე განთავსდა ქართული კომპანიების 11 ახალი კომერციული წინადადება.

ეკატერინე მიქაბაძემ ხაზგასმით აღნიშნა ის მნიშვნელოვანი რეფორმები, რომლებიც სამრეწველო პროდუქტებზე ბაზრის ზედამხედველობის სისტემის ჩამოყალიბების მიმართულებით ხორციელდება. კერძოდ, 2018 წლის ივნისში მიღებულ იქნა პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის ცვლილებები. ვადაზე ადრე, საქართველოს მთავრობის დადგენილებით მიღებულ იქნა სამშენებლო პროდუქტების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი, რომელიც შეესაბამება ევროკავშირის რეგულაციას სამშენებლო პროდუქტების შესახებ. ამასთან, 2019 წელს დაგეგმილია ახალი ტექნიკური რეგლამენტების მიღება, რაც ითვალისწინებს 7 ევროპულ აქტთან დაახლოებას.

მინისტრის მოადგილის ცნობით, საქართველოს სტანდარტების და მეტროლოგიის სააგენტოს მეტროლოგიის ინსტიტუტის ეტალონური ლაბორატორიების საერთაშორისო შეფასების შედეგად, მეტროლოგიის ინსტიტუტმა მიაღწია საერთაშორისო აღიარებას 5 ახალი მიმართულებით. გარდა ამისა, 2018 წლის ნოემბერში ევროპული აკრედიტაციის (EA) მხრიდან ჩატარებული გეგმიური შეფასების შედეგად, აკრედიტაციის ცენტრმა შეინარჩუნა საერთაშორისო აღიარება.

ეკატერინე მიქაბაძემ ხაზი გაისვა, რომ შეუფერხებლად მიმდინარეობს სანიტარულ და ფიტოსანიტარიულ სფეროში საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის აქტებთან. 2018 წლის ბოლოსათვის, საქართველოს კანონმდებლობა დაუახლოვდა ჯამში 85 ევროპულ დირექტივასა და რეგულაციას. 2019 წელს მოხდება დამატებით 22 ევროპულ აქტთან დაახლოება. აქტიური მუშაობა მიმდინარეობს ევროკავშირში საექსპორტო პოტენციალის მქონე ახალი პროდუქტების (აკვაკულტურა, სულგუნი) იდენტიფიცირებისა და ბაზარზე დაშვების მიმართულებით.

ეკატერინე მიქაბაძემ აღნიშნა, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ მომზადდა ახალი საბაჟო კანონმდებლობის პროექტი, რომელიც წარედგინა კერძო სექტორს და სხვა დაინტერესებულ ჯგუფებს. აღნიშნული კოდექსი შემუშავებულ იქნა ევროკავშირის ახალი საბაჟო კანონმდებლობის ე.წ. „Union Customs Code"-ის შესაბამისად. კოდექსის მიღება დაგეგმილია პარლამენტის საგაზაფხულო სესიაზე.

მინისტრის მოადგილის ცნობით, 2018 წლის 20 მარტს ხელმოწერილ იქნა გადაწყვეტილება, რომლითაც DCFTA-ს ფარგლებში არსებული წარმოშობის წესები ჩანაცვლდა პან-ევრო-ხმელთაშუაზღვის კონვენციის ფარგლებში არსებული წესებით. აღნიშნული მნიშვნელოვანია

საქართველოს, თურქეთსა და ევროკავშირს შორის დიაგონალური კუმულაციის ამოქმედების მიმართულებით, რისთვისაც საჭირო ყველა პროცედურა საქართველოს მხრიდან უკვე დასრულებულია და დარჩენილია თურქეთის მხარის მიერ შიდასახელმწიფოებრივი პროცედურების გატარება.

მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, რომ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ მომზადდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ახალი კანონპროექტი, რომელიც შესაბამისობაშია DCFTA-ით გათვალისწინებულ ვალდებულებებთან. ასევე, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მხარდაჭერით, მომზადდა საჯარო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს ინსტიტუციური მოწყობის ახალი კონცეფცია, რომელიც უზრუნველყოფს საბჭოს დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის გაზრდილ ხარისხს.

ეკატერინე მიქაბაძემ კომისიის წევრებს აცნობა, რომ 2018 წელს საქართველო-ევროკავშირის გეოგრაფიული აღნიშვნების ქვეკომიტეტის სხდომაზე ხელი მოეწერა გადაწყვეტილებას, რომლის შედეგადაც ევროკავშირის ტერიტორიაზე, დაცვა მიენიჭა ოთხ ახალ ქართულ გეოგრაფიულ აღნიშვნას: ,,ტყიბულის ჩაი", ,,მაჭახელას თაფლი", ,,ქუთაისის მწვანილი" და ,,ახალქალაქის კარტოფილი". ასევე, განახლდა საქართველოს ტერიტორიაზე დაცული ევროკავშირის გეოგრაფიული აღნიშვნების სია.

<u>კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:</u>

- მოწონებულ იქნეს ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2019 წლის ეროვნულ სამოქმედო გეგმა და ასოცირების შესახებ შეთანხმებისა და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების 2018 წლის სამოქმედო გეგმის 1 წლის შესრულების ანგარიში.

<u>საკითხი IV: „აღმოსავლეთ პარტნიორობის" 10 წლისთავთან დაკავშირებით დაგეგმილი ღონისძიებები</u>

ბ-ნი მამუკა ბახტაძე, ბ-ნი დავით ზალკალიანი, ქ-ნი თამარ ხულორდავა

საგარეო საქმეთა მინისტრმა, დავით ზალკალიანმა ისაუბრა 2019 წელს დაგეგმილ „აღმოსავლეთ პარტნიორობის" 10 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო ღონისძიებებზე. აღნიშნა, რომ ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოში, ისევე როგორც ევროკავშირში, წევრ ქვეყნებსა და პარტნიორ სახელმწიფოებში, მთელი წლის განმავლობაში გაიმართება სხვადასხვა ღონისძიება. მან გამოყო 13-14 მაისს რუმინეთის თავმჯდომარეობის მიერ დაგეგმილი მაღალი დონის კონფერენცია, რომელიც, წინასწარი ინფორმაციით, ორ ნაწილად ჩატარდება: 13 მაისი დაეთმობა ევროკავშირის წევრ-სახელმწიფოთა საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას, რომლის დასრულების შემდეგაც, მათ შეუერთდებიან აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები; 14 მაისს კი, გაიმართება მაღალი დონის კონფერენცია, რომელშიც, სავარაუდოდ მონაწილეობას მიიღებენ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან სახელმწიფოთა/მთავრობათა მეთაურები, ხოლო ევროკავშირის მხრიდან - ევროპული საბჭოს პრეზიდენტი ტუსკი და ევროკომისიის პრეზიდენტი იუნკერი. მინისტრმა ასევე აღნიშნა, რომ ამ ღონისძიების ფარგლებში იგეგმება განცხადების მიღება.

თუმცა, როგორც ცნობილია, ევროკავშირის მიერ შემოთავაზებული განცხადება არ იქნება პოლიტიკური ხასიათის, და ის მხოლოდ 10 წლის „აღმოსვალეთ პარტნიორობის“ შედეგებზე იქნება ფოკუსირებული. მინისტრმა აღნიშნა, რომ საქართველომ წინმსწრებით გააცნო ევროკავშირსა და წევრ-სახელმწიფოებს მოლოდინი განცხადების სულისკვეთებასთან დაკავშირებით; გარდა ამისა, მოპოვებულ იქნა განცხადების პროექტი და რუმინეთის თავმჯდომარეობასთან გრძელდება მუშაობა, რათა ტექსტში შეტანილ იქნას საქართველოსთვის მნიშვნელოვანი გზავნილები.

ბატონმა ზალკალიანმა ასევე ისაუბრა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ 10 წლისთავთან დაკავშირებით საქართველოში დაგეგმილი - ბათუმის საერთაშორისო კონფერენციის შესახებ, რომელიც 11-12 ივლისს გაიმართება. აღინიშნა, რომ კონფერენციაში მონაწილეობა უკვე დადასტურებული აქვს ევროპული საბჭოს პრეზიდენტს დონალდ ტუსკს, ასევე, რუმინეთის, უნგრეთის და პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრებსა და ინტერესი გამოხატულ იქნა ბულგარეთის და ბელორუსის საგარეო საქმეთა მინისტრების მხრიდან.

დავით ზალკალიანმა უწყებებს მოუწოდა აქტიური მონაწილეობა მიიღონ დაგეგმილ ღონისძიებებში და ჩაერთონ აღმოსავლეთ პარტნიორობის 10 წლისთავის აღნიშვნაში.

პრემიერ-მინისტრმა, მამუკა ბახტაძემ ხაზგასმით აღნიშნა ბათუმის საერთაშორისო კონფერენციის, პარალელურად ბიზნეს-ფორუმის გამართვის მნიშვნელობა; ამასთან დაკავშირებით მან განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში უნდა მომზადდეს ბიზნეს-ფორუმის დღის წესრიგი. მან ასევე აღნიშნა, რომ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო მუშაობს საქართველოში „ევროპული დღეების“ ჩატარებაზე, რომლის ფარგლებშიც გარკვეული ღონისძიებები აღმოსავლეთ პარტნიორობის 10 წლისთავს მიეძღვნება, რაც თავის მხრივ გაზრდის ევროკავშირის შესახებ ცნობადობას და აღქმას.

პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, თამარ ხულორდავამ აღნიშნა, რომ ოქტომბრის თვეში თბილისში იგეგმება ევრონესტის ყოველწლიური საპარლამენტო ასამბლეის გამართვა, რომელიც ასევე დაეთმობა აღმოსავლეთ პარტნიორობის 10 წლის იუბილეს. ხაზი გაესვა ასამბლეის, როგორც ახლადარჩეული პარლამენტის პირობებში დაგეგმილი ევრონესტის პირველი ღონისძიების მნიშვნელობას.

<u>კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:</u>

- საგარეო საქმეთა სამინისტრომ და სხვა შესაბამისმა უწყებებმა ჩაატარონ აღმოსავლეთ პარტნიორობის 10 წლისთავისადმი მიძღვნილი ღონისძიებები, მათ შორის ბათუმის საერთაშორისო კონფერენცია.

<u>საკითხი V: ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის მიმდინარეობა</u>

ბ-ნი მამუკა ბახტაძე, ბ-ნი დავით ზალკალიანი, ბ-ნი გიორგი გახარია, ქ-ნი თეა წულუკიანი

ბატონმა დავით ზალკალიანმა ისაუბრა ევროკავშირთან უვიზო მიმოსვლის საკითხებზე და იმ გამოწვევებზე, რაც დღესდღეობით ამ მიმართულებით არსებობს. მან აღნიშნა, რომ უკანასკნელ პერიოდში ისევ მკვეთრად იმატა ევროკავშირის/შენგენის ქვეყნებში

საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობამ. ამ საკითხზე, წევრ-სახელმწიფოებთან ერთად, წუხილს უკვე ევროკომისიაც გამოხატავს (საგარეო საქმეთა მინისტრმა სხდომის მონაწილეებს სტატისტიკური მონაცემები გააცნო).

აღინიშნა, რომ ვითარება განსაკუთრებით საგანგაშოა საფრანგეთში, გერმანიაში, შვედეთსა და საბერძნეთში. საფრანგეთსა და გერმანიაში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტის დროს (18-22 თებერვალი), საფრანგეთის პრეზიდენტმა და გერმანიის კანცლერმა დასვეს აღნიშნული საკითხი და ხაზი გაუსვეს დამატებითი ზომების მიღების აუცილებლობას. ამასთან, საგარეო საქმეთა მინისტრმა პრემიერ-მინისტრს მიაწოდა ინფორმაცია მიმდინარე წლის იანვარში კანცლერის მრჩეველთან გამართული სატელეფონო საუბრის შესახებ, რომელიც გერმანული მხარის ინიციატივით შედგა და უკანონო მიგრაციის პრობლემატიკას დაეთმო.

ბატონმა ზალკალიანმა აღნიშნა, რომ წევრი-ქვეყნები პირდაპირ მოითხოვდნენ უვიზო მიმოსვლის მიმდინარეობის თაობაზე ევროკომისიის ანგარიშში მწვავე ფორმულირებების ასახვას, რაც აქამდე არ მომხდარა ევროკომისიის მხარდამჭერი პოზიციის გამო. თუმცა ვითარებამ უკვე იმ ზღვარს მიაღწია, როდესაც ევროკომისიას უჭირს საქართველოს „დაცვა". წევრი-ქვეყნები დადებითად აფასებენ საქართველოს მიერ მიღებულ ზომებს, მათ შორის კრიმინალთან ბრძოლაში მჭიდრო თანამშრომლობას, თუმცა დამატებით, ქმედით ზომებს ელოდებიან. შესაძლოა, რიცხობრივი მაჩვენებელი სხვა ქვეყნებთან შედარებით კატასტროფული არ არის, თუმცა წევრ-ქვეყნების შეშფოთებას იწვევს საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა მზარდი დინამიკა.

მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ აღნიშნულთან დაკავშირებით, საგარეო საქმეთა სამინისტროში გაიმართა რამდენიმე უწყებათაშორისი შეხვედრა, რომლის დროსაც დამატებით ღონისძიებებზე მოხდა მსჯელობა და შედეგად, მომზადდა დამატებითი ზომების სამოქმედო გეგმა, რომელიც რიგ მიმართულებებს მოიცავს, მათ შორის:

- თავშესაფრის პროცედურების ბოროტად გამოყენების ხელშემწყობის ქმედებების კრიმინალიზაცია;
- საინფორმაციო კამპანიის გაძლიერება, რომელიც მოიცავს ასევე, საინფორმაციო შეხვედრებს ევროკავშირის ქვეყნების საელჩოების ჩართულობის გზით;
- პრობაციონერებისთვის ქვეყნის დატოვების შეზღუდვა;
- დასაბრუნებელი მოწმობის გაცემის წესის შეცვლა, მათ შორის მოქმედების ვადის შემცირება;
- ქორწინებისას გვარის შეცვლის გამკაცრება (მიუხედავად იმისა, რომ იუსტიციის სამინისტროს ინიცირებით, გარკვეული ცვლილებები უკვე იქნა შეტანილი „სამოქალაქო აქტების შესახებ" საქართველოს კანონში გვარის შეცვლის პროცედურების გამკაცრების მიზნით, აღნიშნული შეზღუდვები არ გავრცელებულა ქორწინების დროს გვარის შეცვლის წესზე);
- პოლიციის ატაშეების ქსელის გაფართოება;
- საქართველოში არსებული ჯანმრთელობის პროგრამების პოპულარიზაცია;
- საქართველოში დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაციის პროგრამის შეუფერხებელი ფუნქციონირება/პოპულარიზაცია;
- უწყებათაშორისი სამუშაო/მობილური ჯგუფის შექმნა (საგარეო საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის

სამინისტრო), რომელიც განახორციელებს ვიზიტებს დაზარალებულ ქვეყნებში, საქართველოს მიერ მიღებული ზომების გაცნობისა და ერთობლივი ქმედებების დაგეგმვის მიზნით.

ბატონმა ზალკალიანმა ასევე მოიყვანა ალბანეთისა და სერბეთის მაგალითი, რომელმაც გაამკაცრა საზღვარზე კონტროლი, რამაც თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობის კლება გამოიწვია; მისი თქმით, რიგი წევრი-ქვეყნები, მათ შორის საფრანგეთი და გერმანია, აქტიურად ურჩევენ საქართველოს მსგავსი ზომის მიღებას.

შინაგან საქმეთა მინისტრის, გიორგი გახარიას თქმით, საზღვარზე კონტროლის გამკაცრების თაობაზე კანონპროექტი მზად არის, თუმცა, ალბანეთისგან განსხვავებით, საქართველოს საზღვრის გამკაცრება ხელშესახებ შედეგს არ გამოიღებს იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს არ აქვს ევროკავშირთან სახმელეთო საზღვარი და წევრ-სახელმწიფოებში მოხვედრა შესაძლებელია ტრანზიტული ქვეყნების მეშვეობით. აღინიშნა, რომ თავშესაფრის მაძიებელთა პრობლემატიკის სრული აღმოფხვრა შეუძლებელი იქნება, თუმცა ამ მიმართულებით გარკვეული ნაბიჯები უნდა გადაიდგას, რათა წევრმა ქვეყნებმა რადიკალური ზომები არ მიიღონ. შინაგან საქმეთა მინისტრმა აქვე დასძინა, რომ აღნიშნული საკითხი მეტწილად პოლიტიკურ ხასიათს ატარებს და შესაბამისად, პოლიტიკურ განზომილებაში უნდა გადაწყდეს. გ. გახარიას თქმით, მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ თავშესაფრის მაძიებელთა რაოდენობასა და კრიმინალს შორის პირდაპირი კავშირში არ არის, რასაც წევრი-ქვეყნებიც აღნიშნავენ; პირიქით, საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეთა მიერ ჩადენილი დანაშაულის რიცხვი იკლებს. მიმდინარეობს მუშაობა თავშესაფრის პროცედურების ბოროტად გამოყენების ხელშეწყობის ჯგუფების კრიმინალიზაციის მიმართულებით; შესაბამისი კანონპროექტი უკვე შეტანილია პარლამენტში. ორგანიზებული დაჯგუფების იდენტიფიცირების შემთხვევაში მიღებული იქნება შესაბამისი სისხლისსამართლებრივი ზომები. გ. გახარიამ ასევე აღნიშნა, რომ გვარის შეცვლის პროცედურებთან დაკავშირებით შეზღუდვები უკვე დაწესებულია, დამატებით შეზღუდვებზე იუსტიციის სამინისტრომ უნდა იმსჯელოს. ასევე შესაძლებელია პრობაციონერებისთვის ქვეყნიდან გასვლის აკრძალვის შემოღება. რაც შეეხება პოლიციის ატაშეების ქსელის გაფართოებას, პოლიციის ატაშეების რიცხვი იზრდება და მომავალშიც გაიზრდება. მინისტრის თქმით, თავად წევრ-ქვეყნებში არსებობს სერიოზული პროცედურული ხარვეზები და პრობლემის მოგვარების 80% არის მათ მხარეს, თუმცა თავისთავად, საქართველოს გამო ისინი არსებულ პროცედურებს არ შეცვლიან. ბატონი გახარიას განცხადებით, ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოდან თავშესაფრის მაძიებელთა რიცხვის ზრდა მეტწილად სეზონურ ფაქტორებთან არის დაკავშირებული. მინისტრის მიერ აღინიშნა თავშესაფრის მოთხოვნების დაკმაყოფილების დაბალი მაჩვენებელი, რაც დაახლოებით 3%-ს წარმოადგენს; გამონაკლისს საფრანგეთი წარმოადგენს, სადაც, საქართველოს უსაფრთხო ქვეყნად აღიარების მიუხედავად, დაკმაყოფილების მაჩვენებელი 7% იყო.

ბატონმა გახარიამ ისაუბრა საინფორმაციო ბაზებზე წვდომის მნიშვნელობასა და „პრომეთეუსის პროგრამის" ფარგლებში თანამშრომლობის აუცილებლობაზე, რომელიც საქართველოს უკვე შესთავაზა საფრანგეთმა. პროგრამის ფარგლებში მოხდება საქართველოდან მებაჟე-ოფიცრის განთავსება საფრანგეთის საზღვარზე, რომელიც ადგილობრივ მესაზღვრეებს დაეხმარება საქართველოს მოქალაქეების შემოწმებაში.

მნიშვნელოვანია, ევროკავშირმა აღნიშნული პროექტი დააფინანსოს და ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ სეზონურ ფაქტორს დიდი მნიშვნელობა აქვს, თუმცა საქართველომ შესაბამისი ნაბიჯები აუცილებლად უნდა გადადგას. ბაზებზე წვდომას რაც შეეხება, აღნიშნული რიგ სამართლებრივ და პროცედურულ სირთულეებთან არის დაკავშირებული. პრემიერ მინისტრი დაინტერესდა ადამიანის უფლებათა პრინციპის დაცვით, გვარის შეცვლის პროცედურებზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობით.

იუსტიციის მინისტრმა, თეა წულუკიანმა აღნიშნა, რომ გვარის შეცვლის პროცედურების კიდევ უფრო გამკაცრების შემთხვევაში, არ უნდა დავარღვიოთ კონსტიტუცია და წინააღმდეგობაში არ მოვიდეთ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან. იუსტიციის სამინისტრო განიხილავს აღნიშნულ საკითხს, თუმცა დამატებითი შეზღუდვებისთვის დიდი სივრცე არ არსებობს. რაც შეეხება პრობაციონერთათვის ქვეყნიდან გასვლის აკრძალვას, იუსტიციის მინისტრის თქმით, შეზღუდვების დაწესება სავსებით შესაძლებელია და ამ მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია. მაგალითად, თუ ამჟამად შესაძლებელია პრობაციონერის საზღვარგარეთ ყოფნის პერიოდის გაგრძელება მოხდეს დისტანციურად, შესაძლებელია ამ წესის შეცვლა და პერიოდის გაგრძელებისთვის აუცილებელი პირობა გახდეს საქართველოში დაბრუნება; ასევე, შესაძლებელია საზღვარგარეთ დაშვებული პერიოდის შემცირება. ამავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ პრობაციონერებისთვის ქვეყნიდან გასვლის სრულად აკრძალვა ვერ მოხერხდება, რადგან გარკვეულ შემთხვევებში ქვეყნიდან მათი გამგზავრების აუცილებლობა განპირობებულია ჯანმრთელობის მდგომარეობით. ამასთან, თეა წულუკიანმა დადებითად შეაფასა უწყებათაშორისი მობილური ჯგუფის შექმნის თაობაზე წინადადება და იუსტიციის სამინისტროს სრული ჩართულობისთვის მზადყოფნა გამოთქვა.

თავის მხრივ, პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, თამარ ხულორდავამ აღნიშნა, რომ უკანონო მიგრაციის საკითხი აქტიურად განიხილება უცხოელ კოლეგებთან შეხვედრების დროს; წევრი-ქვეყნები ამ საკითხს სულ უფრო და უფრო მწვავედ აყენებენ. მან ხაზი გაუსვა დამატებითი ზომების მიღების მნიშვნელობას, რადგან პოლიტიკურად პარტნიორი-სახელმწიფოები საქართველოს მხარს უჭერენ, თუმცა მათ სჭირდებათ არგუმენტები, რათა შეჩერების მექანიზმის აუცილებლობა დღის წესრიგში არ დადგეს. უკანონო მიგრაციის თემა განსაკუთრებით აქტიური გახდება ევროპული არჩევნების დროს და მას საკუთარი კამპანიებისთვის აქტიურად გამოიყენებენ რადიკალურად განწყობილი პარტიები; აღნიშნულ პრობლემას დიდი ყურადღება დაეთმობა პოლიტიკოსების განცხადებებში და ანალიტიკურ სტატიებში.

პრემიერ-მინისტრმა პარლამენტს მიმართა თხოვნით, დაჩქარებული წესით დაამტკიცოს კანონპროექტი თავშესაფრის სისტემის ბოროტად გამოყენების ხელშემწყობი ქმედებების კრიმინალიზაციასთან დაკავშირებით. ამასთან, პრემიერ მინისტრმა დაავალა იუსტიციის სამინისტროს, დააწესოს შეზღუდვები პრობაციონერების ქვეყნიდან გასვლაზე, გარკვეული გამონაკლისი შემთხვევების გარდა.

<u>კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:</u>

- საგარეო საქმეთა სამინისტრომ გააგრძელოს ინტენსიურ საინფორმაციო კამპანია ვიზის ლიბერალიზაციის საკითხებზე;
- საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაამკაცროს საქართველოში დასაბრუნებელი მოწმობის გაცემის წესები.
- ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს დაჩქარებული წესით იქნეს მიღებული კანონი თავშესაფრის სისტემის ბოროტად გამოყენების ხელშემწყობი ქმედებების კრიმინალიზაციასთან დაკავშირებით.
- იუსტიციის სამინისტრომ დააწესოს შეზღუდვები, ქვეყნიდან პრობაციონერების გასვლაზე, გამონაკლისი შემთხვევების გარდა.
- იუსტიციის სამინისტრომ შეისწავლოს ქორწინების რეგისტრაციისას გვარის შეცვლის პროცედურის გამკაცრების შესაძლებლობა.
- შეიქმნას უწყებათაშორისი მობილური ჯგუფი (საგარეო საქმეთა სამინისტრო, შინაგან საქმეთა სამინისტრო, იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო), დაზარალებულ ქვეყნებში სამუშაო ვიზიტების განხორციელების მიზნით.

<u>საკითხი VI: ევროკავშირის დახმარების 2018 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერის მიმართულების ფარგლებში (33.5 მლნ.) დასაფინანსებლად შერჩეული პროექტები</u>

ბ-ნი მამუკა ბახტაძე, ბ-ნი დავით ზალკალიანი

საგარეო საქმეთა მინისტრმა კომისიას გააცნო 2017-2020 წლების, საქართველო-ევროკავშირის დახმარების ერთიანი ჩარჩო პროგრამის (SSF) 2018 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ევროკავშირის საექსპერტო დახმარების პროგრამა „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების ხელშეწყობა“ („Support for the Implementation of the EU-Georgia Association Agreement”).

დავით ზალკალიანმა აღნიშნა, რომ 2018 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ევროკავშირის საექსპერტო დახმარების პროგრამის ბიუჯეტი <u>33,5 მლნ. ევროს</u> შეადგენს და მის საფინანსო შეთანხმებას ხელი სავარაუდოდ 2019 წლის მეორე ნახევარში მოეწერება. პროგრამა სამი ძირითადი კომპონენტისაგან შედგება: სტრატეგიული კომუნიკაციები (გათვალისწინებულია 5,5 მლნ. ევროს დახმარება); საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის მხარდაჭერა, რაც ითვალისწინებს ERASMUS+ პროგრამაში მონაწილეობის ეფექტიანობის ამაღლების კონტექსტში საქართველოსთვის დამატებითი ფინანსური რესურსების მობილიზებას და ამასთან, ERASMUS+-ში პროგრამული ქვეყნის სტატუსით (სრულფასოვანი წევრი) მონაწილეობისთვის მომზადებას (გათვალისწინებულია 7 მლნ. ევროს დახმარება); საქართველოს სახელმწიფო ინსტიტუტების დახმარება ასოცირების დღის

წესრიგის პრიორიტეტებისა და ევროკავშირი-საქართველოს სხვა ერთობლივი დოკუმენტების გათვალისწინებით, რაც მიზნად ისახავს ასოცირების შეთანხმების განხორციელების კუთხით საჯარო უწყებების მხარდაჭერას, მათ ინსტიტუციურ გაძლიერებას, სახელმწიფო მოხელეთა კვალიფიკაციის ამაღლებას, საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისა და ქვეყანაში ევროკავშირის სტანდარტების დანერგვის ხელშეწყობას. (გათვალისწინებულია 20.5 მლნ. ევროს დახმარება). პროგრამის აღნიშნული კომპონენტის ჯამური დაფინანსებიდან (20.5 მლნ ევრო), 13.5 მლნ. ევროს დაფინანსება გათვალისწინებულია სახელმწიფო უწყებების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად.

საგარეო საქმეთა მინისტრმა ისაუბრა ასევე, 2018 წლის ევროკავშირის დახმარების საექსპერტო პროგრამით გათვალისწინებულ შემოთავაზებაზე ევროკავშირის მაღალი რანგის მრჩეველთა შესაძლო მოვლინებასთან დაკავშირებით (აღნიშნულ მიმართულებაზე გათვალისწინებულია 2 მლნ. ევროს დახმარება). დავით ზალკალიანმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო უწყებებთან გამართული კონსულტაციების საფუძველზე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ დაფიქსირებულ იქნა ინტერესი ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერგიის საკითხებზე მაღალი რანგის მრჩეველის მოწვევის თაობაზე.

პრემიერ-მინისტრი მიესალმა იმ ფაქტს, რომ 2018 წლის ევროკავშირის დახმარების საექსპერტო პროგრამაში ყურადღება გამახვილებულია განათლების კომპონენტზე და მიმდინარე განათლების სისტემის რეფორმის ფონზე, ხაზი გაუსვა საქართველოსთვის საკითხის პრიორიტეტულობას. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპელ კოლეგებთან კომუნიკაციის დროს უაღრესად მნიშვნელოვანია აღნიშნული თემატიკის დღის წესრიგის ერთ-ერთ პრიორიტეტულ საკითხად გათვალისწინება. მან ასევე აღნიშნა განათლებისა და ჯანდაცვის მიმართულებით მაღალი რანგის კონსულტანტების გამოყენების საჭიროება.

<u>კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:</u>

- მიღებულ იქნას ცნობად ინფორმაცია ევროკავშირის საექსპერტო დახმარების პროგრამით „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების ხელშეწყობა“ გათვალისწინებული დახმარების კომპონენტების თაობაზე;
- მოწონებულ იქნას ზემოაღნიშნული პროგრამის კომპონენტებზე ფინანსური რესურსების გადანაწილება მოცემული სახით და პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო უწყებების მიერ წარმოდგენილი წინადადებების საფუძველზე შერჩეული პროექტები;
- დაევალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს; საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს; და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს,

ევროკავშირის მაღალი რანგის მრჩეველთა პროგრამაში ჩართულობის უზრუნველყოფა.

<u>საკითხი VII: საქართველოში ევროკავშირის ფინანსური დახმარების ფარგლებში თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლისა და კონტროლის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა</u>

ბ-ნი მამუკა ბახტაძე, ბ-ნი დავით ზალკალიანი

საგარეო საქმეთა მინისტრმა კომისიას გააცნო ასოცირების შეთანხმების VII კარის თანახმად, საქართველოს ვალდებულება საქართველოს ტერიტორიაზე ევროკავშირის ფინანსური ინტერესების დაცვის თაობაზე, რაც მოიაზრებს ევროკავშირის დახმარების პროექტებში შესაძლო თაღლითობის, კორუფციისა და ნებისმიერი სხვა უკანონო ქმედებების წინააღმდეგ ბრძოლისათვის აუცილებელი ზომების გატარებას.

დავით ზალკალიანმა აღნიშნა, რომ ასოცირების შეთანხმების VII კარის თანახმად, აუცილებელია ევროკავშირის დაფინანსებულ პროექტებში თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლისა და კონტროლის მექანიზმი/სისტემის ჩამოყალიბება, რომელშიც ჩართული იქნება ყველა შესაბამისი სახელმწიფო უწყება და რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ ოფისთან (OLAF). მინისტრის განცხადებით, თაღლითობის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპულ ოფისთან (OLAF) აქტიური თანამშრომლობით, განისაზღვრა სახელმწიფო უწყებები, რომლებიც ჩართულნი იქნებიან აღნიშნულ პროცესში: ესენია, გენერალური პროკურატურა, იუსტიციის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო, ფინანასთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტო და სახელმწიფო აუდიტის სამსახური.

გამოსვლის ბოლოს, დავით ზალკალიანმა აღნიშნა, რომ ასოცირების შეთანხმების VII კარის მიხედვით საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით, მიზანშეწონილია ზემოთ ჩამოთვლილი უწყებების წარმომადგენლების მონაწილეობით, კომისიის ფარგლებში სამუშაო ჯგუფის ჩამოყალიბება.

<u>კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილებები:</u>

- შეიქმნას უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფი ასოცირების შეთანხმების VII კარის ფარგლებში საქართველოს მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მიზნით;
- სამუშაო ჯგუფის სამდივნოს ფუნქციების შეასრულება დაევალოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროინტეგრაციის გენერალურ დირექტორატს.

<u>საკითხი VIII: *საქართველოს 2019 წლის წლიური ეროვნული პროგრამის (ANP) დამტკიცება*</u>

ბ-ნი მამუკა ბახტაძე, ბ-ნი დავით ზალკალიანი

პრემიერ-მინისტრმა, ბატონმა მამუკა ბახტაძემ, აღნიშნა, რომ საქართველოს წლიური ეროვნული პროგრამა ნატო-ში ინტეგრაციის ერთ-ერთ მთავარ მექანიზმს წარმოადგენს. მისი თქმით, შარშანდელი წელი იყო ძალიან მნიშვნელოვანი ნატო-საქართველოს ურთიერთობების დინამიკის თვალსაზრისით, რასაც ადასტურებს ბრიუსელში გამართული

სამიტი, სადაც კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი, რომ საქართველოს გააჩნია ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტი ალიანსში გასაწევრიანებლად.

პრემიერ-მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ 2019 წელიც განსაკუთრებული იქნება ნატო-სთან თანამშრომლობის კუთხით, რისი დასტურიც არის ა.წ. მარტში დაგეგმილი ნატო-ს გენერალური მდივნის ვიზიტი საქართველოში.

ბ-ნი მამუკა ბახტაძე მიესალმა იმ ფაქტს, რომ საგრძნობლად გაიზარდა ნატო-საქართველოს ერთობლივი წვრთნების რაოდენობა და მადლობა გადაუხადა თავდაცვის სამინისტროს გაწეული ძალისხმევისთვის.

პრემიერ-მინისტრმა ყურადღება გაამახვილა მიუნხენის უსაფრთხოების კონფერენციაზე, სადაც, მისი თქმით, ქართული მხარის საგარეო პოლიტიკის ყველა ძირითადი გზავნილი იქნა გაჟღერებული. ბ-ნი მამუკა ბახტაძის განმარტებით, ერთ-ერთი მთავარი გზავნილი შეეხებოდა იმას, რომ ევროატლანტიკური სივრცის უსაფრთხოება არასდროს იქნება უზრუნველყოფილი, თუ არ იქნა სათანადოდ უზრუნველყოფილი შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება.

პრემიერ-მინისტრმა მოუწოდა ნატო-ში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისიის წევრებს, რომ შავი ზღვის რეგიონალური კონტექსტი ერთ-ერთ წამყვან საკითხად იქნას გამოყენებული პარტნიორ ქვეყნებთან ორმხირივი შეხვედრების დროს. მან ასევე ხაზი გაუსვა, რომ ნატო არის და მუდამ იქნება საქართველოს მთავარი პრიორიტეტი, მაგრამ, ამავდროულად, მნიშვნელოვანია, გააქტიურდეს ორმხირივი თანამშრომლობის ფორმატები ნატო-ს წევრ სახელმწიფოებთან, რაც ახალ პერსპექტივებს გააჩენს ამ ურთიერთობების გაღრმავების თვალსაზრისით. ამ კონტექსტში, ბ-ნმა მამუკა ბახტაძემ მოუწოდა თავდაცვის სამინისტროს აქტიური თანამშრომლობისკენ ალიანსის წევრ ქვეყნებთან.

საგარეო საქმეთა მინისტრმა, ბატონმა დავით ზალკალიანმა აღნიშნა, რომ გასული წელი მნიშვნელოვანი ხელშესახები შედეგებით იქნა დასრულებული ნატო-ში ინტეგრაციის კუთხით, რაც გამოიხატა საქართველოს მიერ ყველა პრაქტიკული ინსტრუმენტის წარმატებით განხორციელებაში. მან ხაზი გაუსვა ნატო-ს ბრიუსელის სამიტის მნიშვნელობას საქართველოსთვის და აღნიშნა, რომ ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც სახელმწიფო მეთაურების დონეზე საქართველოს თემატიკაზე გაიმართა ცალკე შეხვედრა, რომელიც იყო მაქსიმალურად გამოყენებული ქვეყნის ინტერესების წარმოჩენის მიზნით. მინისტრმა ხაზი გაუსვა სამიტის ფარგლებში მიღებულ ნატო-საქართველოს კომისიის დეკლარაციას, რომელიც გამოხატავს ალიანსთან საქართველოს ურთიერთობების უნიკალურ მასშტაბსა და სიღრმეს.

ბ-ნმა დავით ზალკალიანმა დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ 2018 წლის განმავლობაში, საქართველო ფართოდ იყო წარმოდგენილი ნატო-ს დღის წესრიგში და ალიანსმა, გასული წლების მსგავსად, 2018 წლის წლიური ეროვნული პროგრამა პოზიტიურად შეაფასა.

ამასთან, საგარეო საქმეთა მინისტრმა, საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისიის წევრებს მიაწოდა ინფორმაცია ნატო-ში ინტეგრაციის კუთხით 2019 წელს დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ. მინისტრმა აღნიშნა, რომ წლევანდელი წელი მეტად დატვირთული და მნიშვნელოვანია ნატო-საქართველოს ურთიერთობების თვალსაზრისით, რომელიც დაიწყო საქართველოს პრეზიდენტის წარმატებული ვიზიტით ნატო-ს შტაბ-ბინაში. მისი თქმით, 2019 წელს დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები:

- 25-29 მარტს გაიმართება ნატო-საქართველოს სწავლება (NATO-Georgia Exercise), ალიანსის წევრი ქვეყნების მრავალრიცხოვანი მონაწილეობით;
- სწავლების ოფიციალურ გახსნაზე, 25 მარტს, საქართველოს ეწვევა ნატო-ს გენმდივანი;
- მარტის ბოლოს, გაიმართება ალიანსის სამხედრო კომიტეტის რიგით მე-3 ვიზიტი;
- მეოთხედ გაიმართება ნატო-საქართველოს სახალხო დიპლომატიის ფორუმი, რომელიც ჰიბრიდულ საფრთხეებზე დისკუსიების გამართვის საერთაშორისო პლატფორმად იქცა;
- წლის მეორე ნახევარში, დაგეგმილია, ჩრდილოატლანტიკური საბჭოს მე-5 ვიზიტი საქართველოში.

საგარეო საქმეთა მინისტრმა მოუწოდა კომისიის წევრებს უწყებათაშორისი კოორდინაციის გაძლიერებისკენ და ხაზი გაუსვა ნატო-ში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისიის, როგორც ნატო-ში გაწევრიანების პროცესის ფარგლებში არსებულ გეგმებსა და გამოწვევებზე სამსჯელო ფორმატის, მნიშვნელობას.

ბ-ნმა დავით ზალკალიანმა აღნიშნა, 2008 წლიდან მოყოლებული, წლიური ეროვნული პროგრამა წარმოადგენს საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის ერთ-ერთ მთავარ ინსტრუმენტს, რომლის ეფექტიანად გამოყენება ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ნატო-ში გაწევრიანებას.

მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ გასულ წელს, საქართველომ დაასრულა რიგით მე-10 წლიური ეროვნული პროგრამის იმპლემენტაცია. აღნიშნულ დოკუმენტზე დაყრდნობით, ნატო-ს მხარემ მოამზადა წლიური ეროვნული პროგრამის შეფასების დოკუმენტი. მისი თქმით, წინა წლების მსგავსად, ანგარიში დადებითად აფასებს საქართველოში სხვადასხვა სფეროში განხორციელებულ რეფორმებსა და მნიშვნელოვან პროგრესს ნატო-ში გაწევრიანების გზაზე. ამასთან, ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მართლმსაჯულების რეფორმის მე-4 ტალღის წარმატებით განხორციელების მნიშვნელობაზე, უსაფრთხოების სექტორზე პარლამენტის ზედამხედველობის გაძლიერებასა და ნდობის ჯგუფის ეფექტიან გამოყენებაზე, და ასევე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის მეტად გაძლიერების აუცილებლობაზე.

ბ-ნი დავით ზალკალიანის განმარტებით, ნატო-ს მხარემ, საქართველოს ალიანსში ინტეგრაციის კუთხით არსებულ პოზიტიურ დინამიკას კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი ა.წ. 26-

27 თებერვალს, საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ ნატო-ს სამეკავშირეო ოფისისა და ნატო-ს საკონტაქტო საელჩოს (პოლონეთის საელჩო) მხარდაჭერით გამართულ ყოველწლიურ სემინარზე, სადაც ალიანსის წევრი ქვეყნების ექსპერტებმა და დოკუმენტის შემუშავებაში ჩართულმა სახელმწიფო უწყებებმა 2019 წლის წლიური ეროვნული პროგრამის პროექტი განიხილეს.

მინისტრმა აღნიშნა, რომ დღევანდელ სხდომაზე, ნატო-ში ინტეგრაციის სახელმწიფო კომისიის მიერ უნდა დამტკიცდეს რიგით მე-11, 2019 წლის წლიური ეროვნული პროგრამის საბოლოო დოკუმენტი, რომელსაც ქართული მხარე წარუდგენს ალიანსს მარტის ბოლოს, ქ. ბრიუსელში, ნატო-საქართველოს კომისიის სხდომაზე.

ბ-ნმა დავით ზალკალიანმა მადლობა გადაუხადა წლიური ეროვნული პროგრამის შემუშავებაში ჩართულ ყველა უწყებას ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, როგორც მაკოორდინირებელ და ამ მნიშვნელოვანი ეროვნული დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელ უწყებასთან.

პრემიერ-მინისტრის თქმით, რეგიუჯეტირების დროს, ნატო-სა და ევროკავშირის შესახებ საინფორმაციო ცენტრს მეტი რესურსი უნდა გამოეყოს, რათა ე.წ. "visibility" ნატო-სთან მიმართებით კიდევ უფრო გაიზარდოს. მან ხაზი გაუსვა მთავრობის სწორ და წარმატებულ მუშაობას, რაც აისახა ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მიმართ საზოგადოების მხარდაჭერის მაღალ მაჩვენებელში. ბ-ნმა მამუკა ბახტაძემ განმარტა, რომ მთავრობისთვის ეს არის დიდი პასუხისმგებლობა და იმისათვის, რომ შენარჩუნდეს საზოგადოების ამგვარი განწყობა, საჭიროა ე.წ. "visibility"-ს გაზრდის მიმართულებით მუშაობის გაძლიერება.

<u>კომისიამ მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:</u>

- დამტკიცდეს საქართველოს 2019 წლის წლიური ეროვნული პროგრამა (ANP).

საქართველოს პრემიერ-მინისტრი — მამუკა ბახტაძე